პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 276 (10362) | სამშაბათი, 22 ნოემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

მოემზადებული შევხვდეთ ახალ სამეურნეო წელს

საბჭოთა ხალხმა უმაგალითო შრომითი მიღწევებით აღნიშნა კაცობრიობის ისტორიის უდიდესი თარიღი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავი. ამ დიადი დღესასწაულისათვის მრეწველობისა და ტრანსპორტის ასობით და ათასობით მოწინავე კოლექტივმა პირნათლად გაანაღდა ის საწარმოო ვალდებულებები, რაც მათ ნაკისრი ჰქონდათ ჩვენი პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას. მათ შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოთა კოლექტივები.

ჭიათურელმა მაღაროელებმა მეხუთე ხუთწლედი ვადაზე ორი თვით და 25 დღით ადრე შეასრულეს. ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის მოწინავე შახტმა, რომელიც დიდი ლენინის სახელს ატარებს, პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას მეხუთე ხუთწლედის შესრულება იკისრა 15 ნოემბრისათვის, ხოლო ეს ვალდებულება 9 ნოემბერს პირველ ცვლაში გაანაღდა. დიდი წარმატებები მოიპოვეს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ახიბლარის შახტას მეშახტეებმა, თბილისელმა ჩარხმშენებლებმა, ბათუმელმა გემთმშენებლებმა, ხეთელმა ტყისმჭრელებმა და მრავალი სხვა საწარმოს კოლექტივებმა.

მაგრამ წარმატებათა შეჯამებისას მოვალენი ვართ გავიხსენოთ ჩვენი მუშაობის სუსტი მხარეები, მთავარი ყურადღება მივაქციოთ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას, გადაუჭრელი სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას.

1955 სამეურნეო წლის ბოლომდე დიდი დრო აღარ დარჩენილა. ახლოვდება 1956 წელი — მეექვსე ხუთწლედის დასაწყისი. საჭიროა საწარმოებში ამთავითვე გავაჩაღოთ მუშაობა იმისათვის, რომ სავსებით მზად შევხვდეთ მეექვსე ხუთწლედს, ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე უზრუნველყოთ საწარმოების გამართული რიტმული მუშაობა. ამას მივაღწევთ მხოლოდ იმ პირობით, თუ მოვახერხებთ ყველა ნაკლის, მუშაობის შეფერხებელი მიზეზების მოკლე ხანში აღმოფხვრას. ხოლო ნაკლი ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში ბევრია. ეს არის ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ათვისებისათვის გაუბედავი ბრძოლა, არსებულ სიმძლავრეთა სრულად გამოყენებისათვის, ადგილობრივი რეზერვების ამოქმედებისათვის არასაკმაო ზრუნვა, ზოგჯერ მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მნიშვნელობის უგულებელყოფა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხების მოუწესრიგებლობა და ა. შ. ამოცანა ახლა ის არის, რომ შევძლოთ ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფა და წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, რაც შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის საწინდარია.

თავის მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავის შესახებ მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1955 წლის 6 ნოემბერს ამხანაგმა ლ. მ. კაგანოვიჩმა აღნიშნა, რომ „საჭიროა გავაუმჯობესოთ თვით შრომის ორგანიზაცია და შემდგომ განვავითაროთ სოციალისტური შეჯიბრება. მეთოდები მოწინავე ადამიანებისა, რომელთა შრომის ნაყოფიერება ერთიორად აღემატება საშუალო მუშის ნაყოფიერებას, მასობრივი მოვლენა უნდა გახდეს. ყოველივე ეს ეხება არა მარტო მრეწველობას, არამედ ტრანსპორტსაც და სოფლის მეურნეობასაც“.

პრაქტიკა, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მართლაც იმ საწარმოში, სადაც შრომის ორგანიზაცია სათანადოდ არ არის დაყენებული, სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებები ქაღალდზე რჩება, ეს ცოცხალი საქმე ფორმალიზმის ჭაობში იძირება.

ჩვენი რესპუბლიკის ბევრ სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოში უკვე განიხილეს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის პროექტები. იმ საწარმოთა კოლექტივებმა გვიჩვენეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის შეუპოვარი ბრძოლის სულისკვეთება, მზადყოფნა გააკეთონ ყველაფერი, რაც კი მათზეა დამოკიდებული ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის შესრულებისათვის. პროექტების მასობრივი განხილვისას მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა მრავალი საყურადღებო წინადადება შემოიტანეს. ეს წინადადებები შეეხება ადგილობრივი რეზერვების გამოყენების, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, ახალი ტექნიკის დანერგვისა და არსებული ტექნიკის სრული სიმძლავრით გამოყენების, წარმოების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებს.

თბილისის საელმავლო დეპოს მოწინავე ადამიანებმა მეექვსე ხუთწლიანი გეგმის პროექტის განხილვისას დააყენეს საკითხი იმის შესახებ, რომ ყველა მეელმავლეს შეასწავლონ მძიმე წონის მატარებელთა ტარების ოსტატობა და, თუ დეპოს სამეურნეო ხელმძღვანელები, ადგილობრივი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ამ ღონისძიებას განახორციელებენ, ტვირთზიდვის მოცულობა იმავე ლოკომოტივებით, რომლებიც ახლა აქვს საელმავლო დეპოს, მომავალ ხუთწლედში სულ ცოტა ერთიორად გაიზრდება, ხოლო შრომის ნაყოფიერება საშუალოდ 70 პროცენტით გადიდდება.

ტყვარჩელელმა მეშახტეებმა თავიანთ ხელმძღვანელებს მოსთხოვეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა გაფართოებას, საშახტო მექანიზმების გამართულობის უზრუნველყოფას, საექსპლოატაციო უბნებისათვის წმენდითი სამუშაოების ფრონტის დროულად მიცემას. ტყვარჩელელებმა მეექვსე ხუთწლედის მომზადებულად შეხვედრის მთავარ პირობად დასახეს მიმდინარე 1955 წლის საწარმოო გეგმების პირნათლად შესრულების უზრუნველყოფა, რასაც აქ ჯერ კიდევ მრავალი მიზეზი აფერხებს.

მთავარი ახლა ის არის, რომ წლის ბოლომდე დარჩენილი დრო მაქსიმალური ნაყოფიერებით გამოვიყენოთ, უზრუნველვყოთ არა მარტო წლიური გეგმების პირნათლად შესრულება, არამედ ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე რიტმული მუშაობის მტკიცედ დანერგვისათვის, გადიდებული საწარმოო დავალებების თანდათან მზარდი მაჩვენებლებით განაღდებისათვის ყველა წინაპირობის შექმნა.

ამ მხრივ განსაკუთრებული ენერგიის გამოჩენა მართებთ ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ხელმძღვანელებს, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყვეს წლიური საწარმოო დონის მიღწევა, ახალციხექვანახშირის და ყველა იმ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებს, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებიც ჯერ კიდევ ჩამორჩებიან.

ახალი სამეურნეო წლისათვის მზადებაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ჩვენს მშენებლებს, დამპროექტებლებსა და არქიტექტორებს, რომლებმაც პარტიისა და მთავრობის ახლახან გამოქვეყნებული დადგენილება დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობის აღმოფხვრის შესახებ თავიანთ ყოველდღიურ სამრეწველო პროგრამად აღიარეს. მომავალი წლის სამშენებლო ობიექტებზე ნაგებობათა გამარტივებისა და გაიაფების თვალსაზრისით პროექტებსა და ნახაზებში ყველა საჭირო კორექტივის შემოქმედებითად ძოფიქრების შემდეგ შეტანა, სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციული სქემის წინასწარ დამუშავება სწრაფად და მაღალხარისხოვნად მშენებლობის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

საწარმოთა და სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა ახლა უნდა გვიჩვენონ სამეურნეო მუშაობის თავიანთი უნარი. ადგილობრივმა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა კი უნდა გამოავლინონ თავიანთი მაორგანიზებელი როლი — შრომის ორგანიზაციის მკვეთრი გაუმჯობესებით უზრუნველყონ მიმდინარე წლის საწარმოო გეგმების შესრულება ყველა მაჩვენებლის მიხედვით, სრული მზადყოფნით შეხვდნენ დიადი პერსპექტივებით აღსავსე მეექვსე ხუთწლედის დაწყებას.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი დელში

დელი, 20 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავაზიანობის ვიზიტი გაუკეთეს საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ინდოეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტს სარვაპალი რადჰაკრიშნანს.

საბჭოთა კავშირის მხრივ მიღებას დაესწრო სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში მ. ა. მენშიკოვი, ინდოეთის მხრივ — ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯ. ნერუ, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი, საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი ს. დატი და ინდოეთის ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ინდოეთში

დელი, 20 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვივნენ ქალაქ აგრას, 200 კილომეტრზე დელის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც თავმოყრილია დიდ მოღოლთა იმპერიის ძლიერების პერიოდის ხუროთმოძღვრების ძეგლები. აგრა დელთან ერთად იყო რეზიდენცია ამ დინასტიის იმპერატორებისა, რომლებიც რამდენიმე საუკუნეს მართავდნენ ინდოეთს.

თვითმფრინავები, რომლებმაც ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი და მათი თანმხლები პირები ჩაიყვანეს აგრაში, დაეშვნენ აეროდრომზე ქალაქიდან 12 კილომეტრის დაშორებით. აქ სტუმრებს შეხვდნენ უტარ პრადეშის შტატის გუბერნატორი კ. მ. მუნში და ადგილობრივ სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალთა უმაღლესი წარმომადგენლები.

თითქმის მთელ გზაზე ქალაქამდე სტუმრები მანქანებით მიდიოდნენ ამ რაიონის გლეხთა და სხვა მცხოვრებთა ორ მჭიდრო მწკრივს შუა. მცხოვრებნი დიდი ხნით ადრე გამოსულიყვნენ გზაზე, რათა მისალმებოდნენ ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს. როგორც კი გამოჩნდნენ სტუმრები, გაისმა შეძახილები: „ინდოელები და რუსები ძმები არიან!“, „გაუმარჯოს ბულგანინსა და ხრუშჩოვს!“. ალაგ-ალაგ დადგმული იყო რადიორუპორები, რომლებითაც გადასცემდნენ მისალმებებს.

„გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“, „გაუმარჯოს ინდოეთს!“ — გაისმოდა შემხვედრთა შეძახილები; მათ ხელში ეჭირათ ორი მეგობარი ქვეყნის ათასობით ალამი.

მანქანები შედიან გალავანში, სადაც მდებარეობს თაჯ-მაჰალი — დიდ მოღოლთა იმპერიის ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, აგებული მე-17 საუკუნის შუა ხანებში იმპერატორ შაჰ-ჯაჰანის ბრძანებით. თაჯ-მაჰალი წარმოადგენს თეთრი მარმარილოს გრანდიოზულ აკლდამას, რომელიც შემკულია კეთილშობილი ქვების ორნამენტით.

თაჯ-მაჰალი შენდებოდა ორი ათეული წლის განმავლობაში ინდოეთის, სპარსეთის, არაბეთისა და თურქეთის საუკეთესო ოსტატთა და არქიტექტორთა მონაწილეობით, ათეულ ათასობით მონის ძალებით.

ნ. ა. ბულგანინს, ნ. ს. ხრუშჩოვსა და მათ თანმხლებ პირებს შეხვდნენ აკლდამის მცველნი, რომლებმაც სტუმრებს უჩვენეს ძვირფასი — შიდა მოპირკეთება ცენტრალური დარბაზისა კუთხვილი და ინკრუსტირებული მარმარილოს ტიხრებით, სადაც დადგმულია შაჰ-ჯაჰანისა და მისი ცოლის აკლდამები, და გაიყვანეს ისინი ირგვლივ ტერასებზე, საიდანაც გადაშლილია ჯამნის ხეობის ხედი. თეთრად მოელვარე თაჯ-მაჰალის დატოვების წინ ნ. ა. ბულგანინმა თავისი სახელით და ნ. ს. ხრუშჩოვის სახელით მადლობა გადაუხადა შტატის გუბერნატორსა და ქალაქის ხელისუფლებს იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიიღეს გასცნობოდნენ ინდოელი ხალხის ძველი კულტურის ესოდენ შესანიშნავ ძეგლს.

შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა შტატის გუბერნატორის თანხლებით დაათვალიერეს იქვე მახლობლად მდებარე მოღოლის ფორტი, რომელიც აგებულია მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში.

ფორტის კართან ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს მოელოდა აგრის ათასობით მოქალაქე. გამეორდა ხალხთან საბჭოთა სტუმრების შეხვედრის ამაღელვებელი ეპიზოდები, რაც უკვე იყო გუშინ და გუშინწინ დელში.

ფორტის სასახლის შენობათა ერთ-ერთ დარბაზში შეიკრიბა ქალაქ აგრის მოსახლეობის რამდენიმე ასეული წარმომადგენელი ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრის მომწყობი ადგილობრივი საზოგადოებრივი კომიტეტის წევრების მეთაურობით.

კომიტეტის წარმომადგენელმა სინგჰალმა მისალმებით მიმართა სტუმრებს. მათ მიართვეს საჩუქრები ქალაქის საზოგადოებრიობისაგან — ადგილობრივ ოსტატთა ნაკეთობანი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ, შეკრებილთ მიმართა მოკლე სიტყვით.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ნება მიბოძეთ ჩემი სახელით, ჩემი მეგობრის ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინის სახელით და მეგობრების სახელით, რომლებიც ჩვენ გვახლავან, მოგესალმოთ და გამოვთქვა თქვენდამი ჩვენი მხურვალე გრძნობები და კეთილი სურვილები. (ტაში).

სიტყვები არ მყოფნის, რომ გამოვხატო ის გრძნობები, რომლებითაც აღსავსეა ამჟამად ჩვენი გული. ჩვენ ძალიან დიდად ვაფასებთ ინდოელი ხალხის მეგობრობის იმ გამოვლინებას, რასაც ვხედავთ ყველგან ჩვენი აქ ჯერ კიდევ ხანმოკლე ყოფნის დროს.

შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი ხალხი, თავის მხრივ, უაღრესად გულწრფელი, მეგობრული გრძნობებით არის გამსჭვალული ინდოეთის ხალხისადმი. (მქუხარე ტაში). თქვენ განიცდით ეროვნული განთავისუფლებისა და თქვენი ქვეყნის დამოუკიდებლად მართვის შესანიშნავ გაზაფხულს. მაგრამ მე მინდა გაგაფრთხილოთ, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა შეიძლება განმტკიცდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ თქვენ შეძლებთ განავითაროთ თქვენი მრეწველობა და განსაკუთრებით მანქანათმშენებლობა. (ტაში).

მე არ მინდა მოგცეთ რჩევა-დარიგება. მე ვფიქრობ, რომ თქვენ თვითონ ყველაფერი მშვენივრად გესმით.

ჩვენ ეს არის დავათვალიერეთ ადამიანის ხელის შესანიშნავი ქმნილება, შესანიშნავი აკლდამა. როდესაც მე ვათვალიერებდი ამ ნაგებობას, მქონდა ორი გრძნობა: პირველი გრძნობა — აღტაცება ხალხის, მისი ხელოვნების, მისი კულტურის, მისი ოსტატობის სიდიადით, რომელიც აყვავებული იყო უკვე მრავალი საუკუნის წინათ. ეს ძეგლი თქვენი ხალხის სიამაყეა.

მაგრამ მე დამებადა სხვა გრძნობაც. მე უნებლიეთ ვიფიქრე იმაზე, თუ როგორ არ ზოგავდნენ მეფეები ადამიანის შრომას, როგორ ფლანგავდნენ ისინი მას. ქმნიდნენ რა ასეთ ძეგლებს მათი ხელქვეითი ადამიანების ხელით, ისინი გამოფიტავდნენ ხალხის ძალებსა და სახსრებს ერთადერთი მიზნით — თვითონ გაეთქვათ სახელი. ხოლო ამ დროს ალბათ მილიონობით ადამიანი კვდებოდა შიმშილით. აი — სიმდიდრე ერთ მხარეზე და სიღატაკე — მეორეზე.

მაპატიეთ, თუ გადავუხვიე, მაგრამ მე მინდოდა მეთქვა იმ გრძნობებზე, რომლებიც განვიცადე ამ ძეგლის დათვალიერებისას.

ერთხელ კიდევ გმადლობთ სტუმართმოყვარეობისათვის, შესანიშნავი საჩუქრებისათვის, რომლებიც თქვენ გვიძღვენით. მე მადლობას ვუძღვნი პირადად ბატონ გუბერნატორს, მის მეუღლეს, რომელიც ჩვენ გვახლდა, და ქალაქის ხელისუფალთა წარმომადგენლებს. მე მადლობას ვუძღვნი აგრეთვე ამ შეხვედრის მომწყობი კომიტეტის წევრებს.

გისურვებთ ყველას ბედნიერებასა და სიკეთეს! (მქუხარე ტაში).

• • •

დაათვალიერეს რა სასახლის შენობები და დატკბნენ ფორტიდან გადაშლილი ჯამნის ხეობის ხედით, სტუმრებმა დატოვეს ფორტი. ციხის კედლებთან შეკრებილი აგრის მცხოვრებნი კვლავ მხურვალედ მიესალმნენ საბჭოთა სტუმრებს.

შემდეგ ქალაქ აგრის მახლობლად ერთ-ერთ ბაღში შტატის გუბერნატორმა კ. მ. მუნშიმ საუზმე გამართა ნ. ა. ბულგანინის, ნ. ს. ხრუშჩოვისა და მათი თანმხლები პირების პატივსაცემად.

გუბერნატორის სახელით ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს მიართვეს საჩუქრები, მათ შორის თაჯ-მაჰალის აკლდამის ოსტატურად შესრულებული მოდელები.

ნ. ა. ბულგანინმა გულითადი მადლობა უძღვნა გუბერნატორსა და მის მეუღლეს საჩუქრებისათვის და თავისი სახელით და ნ. ს. ხრუშჩოვის სახელით საჩუქრები უძღვნა მასპინძლებს. დასასრულ ნ. ა. ბულგანინმა გამარჯვება უსურვა საბჭოთა და ინდოელი ხალხების მარადიულ და ურღვევ მეგობრობას.

ნ. ს. ხრუშჩოვმა, მიმართა რა მასპინძლებს, თქვა:

ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინმა აქ პირადად თავისი სახელით და ჩემი სახელით მადლობა გიძღვნათ იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც ჩვენ გაგვიწიეთ ამ შესანიშნავ ქალაქში. მე მინდა შევუერთდე მის სიტყვებს და ერთხელ კიდევ გამოვთქვა თქვენდამი უაღრესად მხურვალე გრძნობები და მადლობა.

შეხედა რა თაჯ-მაჰალის მოდელს, ნ. ს. ხრუშჩოვმა განაგრძო:

ეს არის შესანიშნავი საჩუქარი, რომელიც გვიჩვენებს თქვენი ქვეყნის სიდიადეს და ინდოელი ხალხის ოსტატობას. ეს საჩუქარი თასდაუდებელია. იმ საჩუქრებს, რომლებიც ჩვენ მოგართვით, ვუერთებთ ჩვენს უაღრესად მეგობრულ გრძნობებს ინდოეთისადმი. ჩვენ თქვენი მეგობრები ვართ არა მარტო სასიამოვნო ამინდში, როცა ალერსიანად ანათებს მზე. ჩვენ მეგობრები ვართ ყოველგვარ ამინდში და, თუ დაჰბერავს რაიმე ნიავი, ინდოელი ხალხის ჯანმრთელობისათვის საზიანო ორპირი ქარი, — მოგვიგონეთ ჩვენ, ხოლო ჩვენ არასოდეს არ დაგივიწყებთ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს და ინდოეთის ხალხთა მარადიულ მეგობრობას! გმადლობთ!

გუბერნატორმა მუნშიმ საპასუხო სიტყვაში მადლობა უძღვნა საჩუქრებისათვის. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთს მუდამ კეთილი ურთიერთობა ჰქონდა ყველა ქვეყანასთან და სურს, რომ ასევე იყოს მომავალშიც. მან გამოთქვა სურვილი, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი იყოს ხალხთა ურთიერთობის მტკიცე საფუძველი, და თქვა, რომ ინდოეთში ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლა ისტორიული მოვლენაა.

შუადღეზე საბჭოთა სტუმრები აგრიდან დელში დაბრუნდნენ.

ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ნერუმ სადილი გამართა ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად

დელი, 20 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ნერუმ სადილი გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად.

სადილზე იყო აგრეთვე ყველა პირი, რომლებიც ახლავან ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს.

სადილზე იყვნენ ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტი რადჰაკრიშნანი, ინდოეთის მთავრობის მინისტრები, სამინისტროთა პასუხისმგებელი მუშაკები, ინდოეთის შეიარაღებული ძალების ოფიცრები, აგრეთვე ინდოეთის დედაქალაქში აკრედიტებულ უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

სადილის დროს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ნერუმ წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის სადღეგრძელო. ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა წარმოთქვა ინდოეთის პრეზიდენტის რაჯენდრა პრასადის სადღეგრძელო. ორკესტრმა შეასრულა ინდოეთის სახელმწიფო ჰიმნი.

შემდეგ ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ნერუმ წარმოთქვა სიტყვა.

ჯ ა ვ ა ჰ ა რ ლ ა ლ ნ ე რ უ ს სიტყვა

თქვენო აღმატებულებავ, ბატონებო!

საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულმა ჩვენმა პატივცემულმა სტუმრებმა მხოლოდ ორნახევარი დღე გაატარეს დელში. ამ მოკლე ხნის განმავლობაში ისინი მოწმენი იყვნენ არაჩვეულებრივი შეხვედრისა, რომელიც მათ ამ ქალაქის მოსახლეობამ მოუწყო. თითქოს ზედმეტია დავუმატოთ რამე ამ შეხვედრას, იმიტომ რომ ჩვენმა ხალხმა ყველაფერი ნათლად გამოთქვა ამის შესახებ, ჩვენ კი მხოლოდ ხალხის წარმომადგენლები ვართ. მიუხედავად ამისა, მინდა ჩემი სახელით და ჩვენი მთავრობის სახელით მხურვალედ მივესალმო ბ-ნ ბულგანინსა და ბ-ნ ხრუშჩოვს და საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ ჩვენს სხვა სტუმრებს.

ეს მარტო ოფიციალური მისალმება როდია. მოვლენებმა ცხადყვეს, რომ ჩვენი ორი დიდი ქვეყნის ხალხებს შორის დიდი მეგობრობა და ურთიერთგაგებაა, რაც ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე ყველა ოფიციალური მისალმება. ურთიერთგაგება და მეგობრობა მუდამ ძლიერდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ გზები, რომლებითაც ჩვენი ქვეყნები მიდიან, ერთმანეთისაგან განსხვავდება. მიუხედავად ამ განსხვავებისა ჩვენი საკითხების გადაჭრისადმი მიდგომაში, რაც აუცილებელია იმ გარემოებებში, რომლებითაც განისაზღვრება ჩვენი ქვეყნების, ჩვენი ხალხების მდგომარეობა, ჩვენ შორის არ ყოფილა კონფლიქტის რაიმე ელემენტი. პირიქით, ურთიერთდაახლოება იყო საქმიანობის ბევრ დიდმნიშვნელოვან დარგში. ბედნიერი ვიქნები, თუ ეს ასე იქნება არა მარტო ახლა, არამედ მომავალშიც. ჩვენ მეზობლები ვართ, და სწორია, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის იყო კეთილმეზობლური ურთიერთობა და მეგობრობისა და ურთიერთსარგებლობის ურთიერთობა. მე მწამს, რომ ეს მეგობრობა საჭიროა სხვა უფრო ფართო საქმეებისათვის და, უწინარეს ყოვლისა, უაღრესად სასიცოცხლო დიდმნიშვნელოვანი საქმისათვის — მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისათვის.

ჩვენ ინდოეთში აღზრდილი ვართ ჩვენს მემკვიდრეობასა და ჩვენი დიდი ბელადების საქმეებზე, ისევე როგორც მშვიდობისმოყვარულ მეთოდებზე, რომლებსაც მივმართავდით ჩვენს ბრძოლაში თავისუფლებისათვის. მით უმეტეს ჩვენ გვწამს მშვიდობა და თანამშრომლობა. ჩვენთვის, ისევე როგორც ბევრი სხვა ქვეყნისათვის, ეს არის უდიდესი მნიშვნელობის საქმე. რადგან, თუ მსოფლიოს თავს დაატყდა ომი მთელი თავისი საშინელებით და უბედურებით, მაშინ შეჩერდება ჩვენ მიერ დაწყებული დიდი სამშენებლო მუშაობა.

სულ რვა წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ სუვერენული და დამოუკიდებელი გავხდით. და მთელ ამ რვა წელიწადს ჩვენ ყოველი ღონისძიებით ვისწრაფოდით გადაგვეჭრა ბევრი სხვადასხვა პრობლემა, რომლებიც ჩვენს წინაშე იდგა. ეს არის დიდი პრობლემები, რადგან მათ დამოკიდებულობა აქვთ 370-მილიონიანი ხალხის მომავალ კეთილდღეობასთან, ხალხისა, რომელიც დიდხანს იტანჯებოდა სიღარიბით. ჩვენ გვჯერა, რომ შეგვიძლია გადავჭრათ ეს პრობლემები და შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში საზოგადოების სოციალისტური სტრუქტურა, მივცეთ შესაძლებლობა ყოველ ცალკე ადამიანს მიაღწიოს კეთილდღეობასა და პროგრესს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს არის ძნელი ამოცანა და რომ იგი დროს მოითხოვს. მაგრამ არ არის ისეთი ამოცანა, რომელიც მეტად ძნელი იყოს ხალხისათვის, რომელიც გამსჭვალულია მისწრაფებით მოიპოვოს წარმატება. ეს მისწრაფება ჩვენ გვაქვს და გამსჭვალული ვართ რწმენით ჩვენი ხალხისადმი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ არა მარტო ის მიზნები, რომლებსაც ჩვენ ვესწრაფვით, უნდა იყოს კარგი, არამედ კარგი უნდა იყოს საშუალებებიც, რომლებსაც ვიყენებთ, რადგან სხვანაირად წარმოიშობა ახალი პრობლემები და თვით მიზნები იცვლებიან. ჩვენ აგრეთვე გვწამს, რომ დიდ მიზნებს ვერ მივაღწევთ ძალადობისა და სიძულვილის დახმარებით და რომ მსოფლიო პრობლემები შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ ღონისძიებათა საფუძველზე, რომელთა მიზანია მეგობრობისა და თანამშრომლობის დამყარება. ამიტომ ჩვენ მეგობრობის ხელს ვუწვდით ყველა ქვეყანასა და ყველა ხალხს.

ჩვენ მივესალმებით სხვა ქვეყნების თანამშრომლობასა და მეგობრულ დახმარებას. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ერი ვითარდება საკუთარი ღონისძიებების მეოხებით, საკუთარი ძალებით. სწორედ, გვქონდა რა ჩვენი თავის იმედი, მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა და ამგვარი მოქმედებით იმედი გვაქვს მივაღწიოთ იმ მიზნებს, რომლებიც დავისახეთ. ჩვენ ძლიერი არა ვართ სამხედრო მხრივ და მატერიალური სიკეთის მხრივ. მაგრამ ჩვენ ძლიერი ვართ ჩვენი ხალხისადმი რწმენით. ამ სამყაროში, სადაც ბევრი შიში და საშიშროებაა, მე მსურს ჯეროვანი თავმდაბლობით განვაცხადო, რომ ჩვენ არ განვიცდით შიშს. რატომ უნდა გვეშინოდეს? ჩვენ გვსურს სხვებთან მეგობრული ურთიერთობით ვიცხოვროთ. რატომ უნდა განვიცდიდეთ შიშს, თუ ჩვენი ხალხი გამსჭვალულია თავისი ძალების რწმენით?

ჩვენ არა გვაქვს რაიმე პრეტენზია, მიმართული რომელიმე სხვა ქვეყნის ან ხალხის წინააღმდეგ. ჩვენ ყველას ვუსურვებთ სიკეთეს, და მხურვალედ ვესწრაფვით იმას, რომ თავისუფლება და სოციალური და ეკონომიური პროგრესი ყველა ქვეყნის მონაპოვარი გახდეს. თავისუფლებათა უარყოფა, აგრეთვე რასობრივი დისკრიმინაცია არა მარტო უმართებულია, არამედ აგრეთვე შეიცავს თესლს, რომელიც წარმოშობს ბოროტების ხეს — კონფლიქტებსა და ომებს.

ჩვენ არ ვაპირებთ ვასწავლოთ სხვებს, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ მთელი მსოფლიოს მშვიდობა და უშიშროება არ შეიძლება მიღწეულ იქნას სამხედრო პაქტებისა და კავშირების დახმარებით ან საჭურვლის დაგროვების

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ჯავაჰარლალ ნერუს სიტყვის დასასრული

გზით. ჩვენ არა ვართ განწყობილი მილიტარისტულად, და არ ვიწონებთ სამხედრო ფრაზეოლოგიის გამოყენებასა და დღევანდელი დღის პრობლემებისადმი სამხედრო მიდგომას. ბევრი მითქმამოთქმაა „ცივ ომზე“, ერთმანეთის მეტოქე ბანაკებსა და დაჯგუფებებზე, სამხედრო ბლოკებსა და კავშირებზე, და ყოველივე ეს ხდება „მშვიდობის სახელით“. ჩვენ არ შევდივართ რაიმე ბანაკში ან სამხედრო კავშირში. ერთადერთი ბანაკი, რომელშიც ჩვენ გვსურს ვიყოთ, — ეს არის მშვიდობისა და კეთილი ნების ბანაკი. ამ ბანაკში უნდა შედიოდეს რაც შეიძლება მეტი ქვეყანა და იგი არ უნდა დაუპირისპირდეს არავის. ერთადერთი კავშირი, რომელსაც ჩვენ ვესწრაფვით, ეს არის კეთილ ნებასა და თანამშრომლობაზე დამყარებული კავშირი. თუ ვეძებთ მშვიდობას, უნდა ვეძებოთ მშვიდობიანი მეთოდებით, გამოვიყენოთ მშვიდობისა და კეთილი ნების ენა.

მე პატივი მქონდა, როგორც იცით, სტუმრად ვყოფილიყავი საბჭოთა კავშირში, სადაც ვპოვე გულთბილი და გულითადი მიღება. მე მსურს უღრმესი მადლობა გიძღვნათ თქვენს აღმატებულებას და საბჭოთა კავშირის ხალხს ჩემდამი გამოხატული სიმპათიის გრძნობისათვის, რომელიც სცილდება ყოველი ოფიციალობის ფარგლებს. მე ვნახე, რომ საბჭოთა კავშირში დასახულია კოლოსალური ამოცანები და ბევრი რამ გაკეთებულია ხალხის კეთილდღეობისათვის. მე ვნახე, უწინარეს ყოვლისა, მტკიცე და ფართოდ გავრცელებული მისწრაფება მშვიდობისადმი. ეს დიდი მუშაობა და ეს სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი საჭიროება დაემთხვნენ ჩემს გრძნობებს, და მე ვნახე, რომ არსებობს დიდი და ფართო შესაძლებლობა ჩვენი ორი ქვეყნის თანამშრომლობისათვის. თქვენი აღმატებულების ვიზიტი ინდოეთში უეჭველად შეუწყობს ხელს უფრო ღრმა ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ამ პროცესს. ამიტომ ორმაგად მივესალმებით მას.

გულწრფელად მჯერა, რომ თქვენი ვიზიტი ჩვენში ხელს შეუწყობს მშვიდობისა და თანამშრომლობის დიდ საქმეს, რომელსაც ჩვენ ყველანი ვემხრობით, და თქვენ თვითონ დაინახავთ, თუ როგორ ანდომებს ინდოელი ხალხი თავის ძალებს არა მარტო თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ მთელი კაცობრიობის პროგრესის უფრო ფართო საქმესაც.

მე მსურს, რომ თქვენმა აღმატებულებამ გადასცეს თქვენს მთავრობასა და თქვენს დიდ ხალხს ჩვენი სალამი და კეთილი ნებისა და თანამშრომლობის წერილი. თქვენო აღმატებულებავ, ბატონებო!

გთხოვთ ამ ჭიქით მიირთვათ მისი აღმატებულების ბ-ნ ბულგანინისა და მისი აღმატებულების ბ-ნ ხრუშჩოვის, აგრეთვე მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის სადღეგრძელო.

• • •

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა.

ნ. ა. ბულგანინის სიტყვა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ჯ. ნერუს სადილზე

ბატონო პრემიერ-მინისტრო!

ბატონებო!

უწინარეს ყოვლისა ნება მიბოძეთ გულწრფელი მადლობა გადავუხადო ინდოეთის რესპუბლიკის პატივცემულ პრემიერ-მინისტრს ბ-ნ ნერუს იმ გულთბილი გრძნობებისა და მეგობრული სურვილებისათვის, რომლებიც მან გამოთქვა საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა ადამიანების მიმართ.

მთელი ისტორიის მანძილზე ჩვენს ქვეყნებს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ და ჩვენი ხალხები დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ ერთმანეთს. საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხები ყოველთვის ჰპოვებდნენ ერთმანეთში მორალურ მხარდაჭერას თავიანთ ბრძოლაში უკეთესი მომავლისათვის. მათი მეგობრობა, თანამშრომლობა მით უფრო განმტკიცდა ამჟამად, როცა ინდოეთსა და სსრ კავშირს გაუჩნდათ ბევრი საერთო ინტერესი მშვიდობისათვის, კაცობრიობის ბედნიერებისათვის ბრძოლაში. ჩვენს ურთიერთობას საფუძვლად უდევს ცნობილი ხუთი პრინციპი. ეს პრინციპები გამოქვეყნდა ბ-ნ ნერუს და ჩვენს ერთობლივ განცხადებაში მიმდინარე წლის ივნისში, როცა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენ სიხარულით მივესალმეთ მას ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა კავშირი ზუსტად დაიცავს ამ პრინციპებს თავის ურთიერთობაში ინდოეთთან და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან, რომლებმაც უკვე გამოაცხადეს იგივე პრინციპები ან მზად არიან შეუერთდნენ მათ.

ინდოეთი და საბჭოთა კავშირი მშვიდობისმოყვარე ქვეყნებია. ჩვენ სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილება გვაქვს, ჩვენ სხვადასხვა გზა ავირჩიეთ, რათა უზრუნველვყოთ ჩვენი ხალხების ბედნიერი ცხოვრება და აყვავება. მაგრამ სიტყვა „მშვიდობა“ თანაბრად წმიდაა როგორც ინდოეთის ხალხებისათვის, ისე საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის. ეს მშვიდობისადმი მისწრაფება გვაახლოვებს ჩვენ, გვაერთიანებს და საშუალებას გვაძლევს აქტიურად ვიბრძოლოთ ერთობლივად სადავო საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის.

დედამიწის ხალხებმა თავისუფლად ამოისუნთქეს ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შემდეგ, რომელმაც ჩაგვინერგა ეგრეთწოდებული „ცივი ომის“ ლიკვიდაციის იმედი. ახლა ხალხები მოითხოვენ, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობებმა თავიანთ ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან საფუძვლად დაუდონ „ჟენევის სულისკვეთება“.

საბჭოთა მთავრობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგებს და, როგორც ცნობილია, გადადგა მთელი რიგი ახალი კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებასა და სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებას. საბჭოთა მთავრობა აპირებს კვლავაც განახორციელოს ეს პოლიტიკა, რა სიძნელეებსაც უნდა წააწყდეს ამ გზაზე.

მთავრობათა მეთაურების შეხვედრის შემდეგ შეიკრიბნენ საგარეო საქმეთა მინისტრები, რომლებსაც უნდა გამოენახათ იმ საკითხთა გადაჭრის გზები, რომლებიც დასმულია ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების დირექტივაში. ჩვენ ყოველი ღონე ვიხმარეთ, რათა მიგვეღწია შეთანხმებული გადაწყვეტილებებისათვის.

ჩვენდა სამწუხაროდ მინისტრების თათბირი აზრთა გულახდილ გაცვლას არ გასცილებია.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა მთავრობა იმედს არ კარგავს და დარწმუნებულია, რომ საბოლოო ანგარიშით ოთხი სახელმწიფო ჯეროვნად გადაჭრის მათს წინაშე მდგომ პრობლემებს.

ჩვენ ყოველთვის ვიყავით „ცივი ომის“ წინააღმდეგი და არ გვინდა, რომ იგი დაბრუნდეს. ჩვენ კვლავაც ვეცდებით, რომ აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღი, შემცირდეს ჩვეულებრივი შეიარაღება, შეიქმნას ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა და ყოველი ღონისძიებით გაფართოვდეს კონტაქტი სახელმწიფოთა შორის.

რაც შეეხება გერმანიის პრობლემას, ჩვენი პოზიცია უცვლელი იყო და არის. ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა დრო და მოთმინება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ საკითხის გადაჭრაში უწინარეს ყოვლისა გერმანელ ხალხს უნდა დავეყრდნოთ, და ჩვენი ამოცანა ის უნდა იყოს, რომ დავეხმაროთ მას ამ საქმეში.

დიდი ისტორიული ცვლილებანი მოხდა და ხდება აზიაში, რომლის უდიდესი ქვეყნებია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ინდოეთი და საბჭოთა კავშირი. საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ამ სამი სახელმწიფოს ურთიერთობას საფუძვლად უდევს მშვიდობიანი თანაარსებობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის მტკიცე პრინციპები.

ინდოეთის რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტი წლითიწლობით იზრდება. ინდოეთი სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს აზიის, და არა მარტო აზიის, პრობლემების განხილვასა და გადაჭრაში. ყველასათვის გასაგებია, რომ ინდოეთის პრესტიჟი იზრდება არა მარტო იმიტომ, რომ იგი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაა, არამედ იმიტომაც, რომ იგი თანმიმდევრულად და განუხრელად იცავს მშვიდობას. ამასთან დაკავშირებით არ შეგვიძლია კვლავ არ აღვნიშნოთ ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციას, რომელმაც ხელი შეუწყო „ბანდუნგის სულისკვეთების“ — იმ ატმოსფეროს შექმნას, რომელიც აადვილებს აზიისა და აფრიკის ხალხების ბედთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას.

ინდოეთის აქტიური მონაწილეობით უკვე გადაიჭრა აზიის მთელი რიგი რთული პრობლემები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ინდოეთი და მისი მთავრობა, რომელსაც ჩვენი მეგობარი ბ-ნი ნერუ შეთაურობს, კვლავაც აქტიურად დაიცავენ აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

ჩვენ მხურვალედ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ვიზიტი ინდოეთში ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების საქმეს.

საბჭოთა მთავრობა .უსურვებს ინდოელ ხალხს და მის ხელმძღვანელს — მშვიდობისათვის მამაც მებრძოლს ბ-ნ ჯავაჰარლალ ნერუს შემდგომ წარმატებებს ახალი ინდოეთის მშენებლობის საქმეში.

ნება მიბოძეთ წარმოვთქვა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ჯავაჰარლალ ნერუს სადღეგრძელო და ვუსურვო მას ჯანმრთელობა და ყოველგვარი წარმატება მის კეთილშობილურ საქმიანობაში საყოველთაო მშვიდობისა და ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობისათვის.

• • •

სადილის შემდეგ სტუმრებს უჩვენეს დოკუმენტალური ფილმები ინდოეთის ბუნებისა და ინდოეთში ახალი ცხოვრების მშენებლობის შესახებ.

ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რაჯენდრა პრასადმა მიიღო ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი

დელი, 19 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რაჯენდრა პრასადმა თავის სასახლეში მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში მ. ა. მენშიკოვი და ინდოეთის ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი.

მიღების შემდეგ ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რაჯენდრა პრასადმა საუზმე გამართა ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად. საუზმეზე საბჭოთა კავშირის მხრივ იყო აგრეთვე ყველა პირი, რომლებიც ახლავან ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს. ინდოეთის მხრივ იყვნენ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯ. ნერუ, ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტი ს. რადჰაკრიშნანი, მინისტრთა კაბინეტის ყველა წევრი, რომლებიც დელში იმყოფებიან, და მინისტრები, რომლებიც კაბინეტის შემადგენლობაში არ შედიან, მინისტრების მოადგილეები, ინდოეთის არმიის, ფლოტისა და ავიაციის შტაბების უფროსები, საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მხელეები და სხვა ოფიციალური პირები. იყვნენ აგრეთვე დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან ინდოეთის დედაქალაქში.

ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რ. პრასადმა დარბაზობა გამართა ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად

დელი, 20 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რაჯენდრა პრასადმა დიდი დარბაზობა გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყო აგრეთვე ყველა პირი, რომლებიც ახლავან ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს.

დარბაზობაზე იყვნენ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯ. ნერუ, ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტი ს. რადჰაკრიშნანი, ინდოეთის მთავრობის მინისტრები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, სამინისტროთა პასუხისმგებელი მუშაკები, პარლამენტის წევრები, ინდოეთის შეიარაღებული ძალების ოფიცრები, პოლიტიკური პარტიების ლიდერები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ინდოელი და უცხოელი ჟურნალისტები და სხვა პირები — სულ 2 ათასამდე კაცი.

დარბაზობა მოეწყო პრეზიდენტის სასახლის ბაღში, ყვავილნარებსა და შადრევნებში. შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ პრეზიდენტ რ. პრასადს, ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს, რომლებიც შემოვიდნენ ბაღში საპატიო ესკორტის თანხლებით.

პრეზიდენტმა რ. პრასადმა ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი წარუდგინა მრავალ სტუმარს და პიროვნულად დაათვალიერებინა მათ სასახლის ბაღი.

დარბაზობის დამთავრების შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა პრეზიდენტ რ. პრასადის თანხლებით დატოვეს ბაღი, ამასთან ყოფილა ინდოეთის სახელმწიფო ჰიმნი.

სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ინდოეთში მ. ა. მენშიკოვმა სადილი გამართა ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად

დელი, 19 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ინდოეთში მ. ა. მენშიკოვმა სადილი გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად. ინდოეთის მხრივ სადილზე იყვნენ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯ. ნერუ, ვიცე-პრეზიდენტი ს. რადჰაკრიშნანი, შინაგან საქმეთა მინისტრი გ. ბ. პანტი, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ტ. კრიშნამაჩარი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი რაჯკუმარი ა. კაური, მრეწველობის მინისტრი ნ. კანუნგო, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე საიედ მაჰმუდი, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი, ინდოეთის პრეზიდენტის მდივანი ი. სინგჰი, ადმინისტრაციული მოხელე ინდოეთის მთავრობასთან ჰანდუ, ინდოეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი, პრემიერ-მინისტრის ქალიშვილი ქ-ნი ინდირა განდი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რ. რაშიდოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, არმიის გენერალი ი. ა. სეროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დ. რ. რასულოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი, უზბეკეთის სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ზ. რახიმბაბაევა.

სადილმა განსაკუთრებული გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

„უმაგალითო შეხვედრა დელში“

დელი, 19 ნოემბერი. (საკდესი). „მეუხარე ოვაცია საბჭოთა ხელმძღვანელებს“, „მილიონობით მოზეიმე ადამიანი მიესალმება საბჭოთა ხელმძღვანელებს“, „უმაგალითო შეხვედრა დედაქალაქში“, „მეგობრობისა და კეთილი ნების არაჩვეულებრივი სცენები“ — ასეთი სათაურებით მთელ პირველ გვერდზე აქვეყნებენ ინდოეთის გაზეთები დღეს მრავალ ცნობას დელში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლის შესახებ. ყველა გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დელის მცხოვრებლებმა გაუმართეს მათ უაღრესად გულთბილი და მეგობრული შეხვედრა, როგორიც ჯერ არასოდეს არ მოუწყვიათ უცხო სახელმწიფოთა არც ერთი ხელმძღვანელისათვის, რომელიც ინდოეთში ჩამოსულა.

გაზეთები აქვეყნებენ ჯ. ნერუსა და ნ. ა. ბულგანინის სიტყვების ტექსტს, რომლებიც მათ წარმოთქვეს აეროდრომზე, ათავსებენ მრავალ ფოტოსურათს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ფრაქციის

სექტემბერში სასამართლოს დიალექტიკაზე ქალაქ თბილისში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ თავმჯდომარის — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის, იუსტიციის გენერალ-ლეიტენანტ ა. ა. ჩეპაკოვისა და სამხედრო კოლეგიის წევრების იუსტიციის პოლკოვნიკ ა. ა. კოსტრომინის და იუსტიციის პოლკოვნიკ ა. ა. დოლოტაევის შემადგენლობით, სახელმწიფო ბრალმდებლის სსრ კავშირის გენერალური პროკურორის — იუსტიციის ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველის რ. ა. რუდენკოს და დამცველების — ადვოკატების ვ. ნ. გავრილოვის, ა. ვ. ზვერევის, ს. ი. გალკინის, ს. ე. სანიკოვის, კ. ნ. აპრაქსინის, რ. ი. უგოლევის და ვ. ა. ზორინის მონაწილეობით, განიხილეს ა. ნ. რაფავას, ნ. მ. რუხაძის, შ. ო. წერეთელის, კ. ს. სავიცკის, ნ. ა. კრიმიანის, ა. ს. ხაზანის, გ. ი. პარამონოვის, ს. ნ. ნადარაიას სისხლის სამართლის საქმე, რომელთაც ბრალად ედებოდათ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 „ბ“, 58-8 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებანი, ე. ი. სამშობლოს ღალატი, ტერორისტული აქტები და კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მონაწილეობა.

სასამართლო პროცესზე გამოირკვა, რომ რაფავა, რომელსაც ეკავა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის, ხოლო შემდეგ სახალხო კომისრის თანამდებობა, რუხაძე, რომელსაც ეკავა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საგამომძიებლო ნაწილის უფროსის, ხოლო შემდეგ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის თანამდებობა, წერეთელი, რომელსაც ეკავა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის, ხოლო შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა, კრიმიანი, სავიცკი, ხაზანი და პარამონოვი, რომელნიც იყვნენ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამომძიებლები, აგრეთვე ბრალდებული ნადარაია აქტიურად მონაწილეობდნენ ხალხის მტრის ბერიას ანტისაბჭოთა მოღალატურ საქმიანობაში. ეხმარებოდნენ რა ბერიას მისი დანაშაულებრივი წარსულის დაფარვაში და საზიზღრად ატყუებდნენ რა პარტიასა და სახელმწიფოს, ბრალდებულებმა მტრული მიზნით გამოიყენეს თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, ხოლო შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სისტემაში.

სასამართლომ გამოარკვია, რომ ბერია ბრალდებულებს ანდობდა ისეთ დანაშაულებრივ დავალებათა უშუალო შესრულებას, რომელებიც მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო.

იმ დანაშაულებრივი მიზნით, რომ მოესპოთ პატიოსანი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების საქმის ერთგული კადრები, ბრალდებულები ყალბად ქმნიდნენ გამოძიების საქმეებს, პატიმრებისადმი მიმართავდნენ გამოძიების დანაშაულებრივ მეთოდებს, რომლებიც უსასტიკესად აკრძალულია საბჭოთა კანონით, და ტერორისტულ ძალადობას პატიოსანი საბჭოთა ადამიანებისადმი, ყალბად ბრალდებდნენ რა მათ კონტრრევოლუციურ დანაშაულობათა ჩადენას.

ბრალდებულებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ცილისმწამებლური მასალების შეგროვებასა და ინტრიგანულ ბრძოლაში, რომელსაც ბერია მთელი რიგი წლების მანძილზე ეწეოდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის სერგო ორჯონიკიძის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ ს. ორჯონიკიძის ოჯახის წევრებისა და მისი უახლოესი მეგობრებისადმი ტერორისტულ ძალადობაში, რომელთაც პასუხსაგები სახელმწიფო და პარტიული პოსტები ეკავათ.

ბრალდებულთა დანაშაულობებში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ტერორისტულ ძალადობას იმ ადამიანთა წინააღმდეგ, ვისგანაც ბერიას მზილება მოელოდა.

მაგალითად, ტერორისტული ძალადობა ჩადენილია ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ყოფილი მდივნის მამია ორახელაშვილისა და მისი ცოლის — საქართველოს სსრ განათლების ყოფილი სახალხო კომისრის, მარიამ ორახელაშვილის; ქართული დივიზიის მეთაურის, დივიზიის მეთაურ ბუაჩიძის; მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტის ფილიალის (ქალაქ თბილისში) დირექტორის ბედიას და სხვების წინააღმდეგ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ ა. ნ. რაფავას, ნ. მ. რუხაძეს, შ. ო. წერეთელს, კ. ს. სავიცკის, ნ. ა. კრიმიანს, ა. ს. ხაზანს მიუსაჯა — სისხლის სამართლის სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. ბრალდებულ გ. ი. პარამონოვს მიესაჯა 25 წლის თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ბრალდებულ ს. ნ. ნადარაიას — 10 წლის თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლოს განაჩენს ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სასამართლოს დარბაზში მყოფნი.

მსჯავრდადებულების ა. ნ. რაფავას, ნ. მ. რუხაძის, შ. ო. წერეთლის, კ. ს. სავიცკის, ნ. ა. კრიმიანის, ა. ს. ხაზანის შუამდგომლობა შეწყალების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უარყო.

განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

სრულიად საკავშირო თათბირი მეცხვარეობის შესახებ

18 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა მეცხვარეობის შესახებ სრულიად საკავშირო თათბირის საბოლოო სხდომა.

მას შემდეგ, რაც მოისმინეს ინფორმაციები სექციების მუშაობის შედეგების შესახებ, თათბირის მონაწილენი განაგრძობდნენ განხილვას მოხსენებებისა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს, მტს-ებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ამოცანების შესახებ მატყლის წარმოებისა და დამზადების გადიდების, მეცხვარეობის შემდგომი განვითარების დარგში.

აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. სეიდოვმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მეურნეობებმა მიაღწიეს ერთგვარ წარმატებებს საზოგადოებრივი მეცხოველეობის და მასთან მეცხვარეობის განვითარებაში. უკანასკნელი წლის განმავლობაში ცხვრის სულადობა კოლმეურნეობებში გადიდდა 14 პროცენტით. მაგრამ ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი ცხვარი ჯერ კიდევ არ არის საკმაო რაოდენობით.

რუბცოვსკის სახელმწიფო ჯიშთსაშენის დირექტორმა ამხ. დოგიმმა დამსწრეთ გააცნო ალტაის მხარის რუბცოვსკისა და ვოლჩიხის რაიონებში ნაზმატყლიანი ცხვრის მოშენების გამოცდილება. ამ რაიონების კოლმეურნეობებში ახლა არის 143 ათასი სული ცხვარი, აქედან 70 პროცენტი — მერინოსის ჯიშისა. თვითეულ ცხვარზე მიღებულია 5,1 კილოგრამი მატყლი, ამასთან წმინდა ბოჭკოს გამოსავლიანობა 46 პროცენტს შეადგენს. ცხვრის პროდუქტიულობის გადიდებაში მიღწეული წარმატებები იმის შედეგია, რომ გაუმჯობესდა საკვები ბაზა და ჯიშის გამოყვანაზე მუშაობა, გამოცდილი მწყემსებით განმტკიცდა ფერმები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როსტოვის ოლქის სტეპნოეს რაკომის მდივანმა ამხ. ივანენკომ განაცხადა, რომ ამ უკანასკნელ წლებში ფერმებში მოვდა ბევრი კომუნისტი და კომკავშირელი. მათ ფართოდ გაიჩაღეს შეჯიბრება პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. ახლა რაიონის კოლმეურნეობები უკვე მესამე წელიწადია იღებენ მეცხვარეობიდან მილიონობით შემოსავალს.

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების მინისტრი ამხ. ბენედიქტოვი. მოწინავე მეურნეობების გამოცდილებამ დამაჯერებლად გვიჩვენა, ამბობს იგი, რომ მეცხვარეობას უდიდესი რეზერვები აქვს შემდგომი აღმავლობისათვის. საბჭოთა მეურნეობებმა ჩაბარეს მრავალი ათასი ტონით მეტი მატყლი, ვიდრე გასულ წელს, და ნაპარსი საშუალოდ თითო ცხვარზე გაადიდეს 0,3 კილოგრამით. მაგრამ მეცხვარეობის ზრდის ტემპი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. იმისათვის, რომ შეასრულოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დავალებანი, საჭიროა ყოველწლიურად გავადიდოთ ცხვრის სულადობა საბჭოთა მეურნეობებში 18-20 პროცენტით და მატყლის საშუალო ნაპარსი — დაახლოებით 10 პროცენტით.

ამისათვის საბჭოთა მეურნეობებს ყველა საჭირო პირობა აქვთ.

დასასრულ ამხ. ბენედიქტოვმა საბჭოთა მეურნეობების ყველა მუშაკის ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა მკვეთრად შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება, აგრეთვე გააუმჯობესონ მეცხვარეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. მაცკევიჩმა თათბირს გააცნო სასოფლო-სამეურნეო წლის ზოგიერთი წინასწარი შედეგი: მნიშვნელოვნად გაფართოვდა ნათესები, გადიდდა მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, სბოჭკოე სელის, მზესუმზირას, ბოსტნეულის წარმოება. ამავე დროს ზოგიერთ რესპუბლიკასა და ოლქს (ბელორუსიის სს რესპუბლიკა, რუსეთის სფსრ ირანშავნიადაგიანი ზონა) არ შეუსრულებია კარტოფილის წარმოების დავალებანი, მთელი რიგი რესპუბლიკები ჩამორჩნენ ბამბის კრეფასა და დამზადებაში.

გაზაფხული და ზაფხული ბევრ რაიონში ხელსაყრელი არ იყო სიმინდისათვის. მაგრამ იქ, სადაც განახორციელეს სწორი აგროტექნიკა და უზრუნველყვეს ამ კულტურის ჯეროვანი მოვლა, მან კარგი მოსავალი მოგვცა.

შემდეგ ამხ. მაცკევიჩი ლაპარაკობს ზოგიერთ წარმატებაზე, რაც კოლმეურნე მეცხოველეებმა მოიპოვეს, — გადიდდა პირუტყვის რძის პროდუქტიულობა, წარმატებით შესრულდა მატყლის დამზადება.

ორატორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბევრი მტს-ი ჯერ კიდევ ნაკლებად მუშაობს კოლმეურნეობათა მეცხოველეობის საკითხებზე, ვერ ასრულებს დავალებებს შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დარგში. ბევრ სასოფლო-სამეურნეო არტელში მექანიზებულია ფერმების ზოგიერთი შრომატევადი სამუშაო, მაგრამ ამ ღონისძიების ეფექტიანობა მცირდება იმის გამო, რომ არ არის კომპლექსური მექანიზაცია. მტს-ებმა დიდი დახმარება უნდა გაუწიონ მეცხვარეებს, განსაკუთრებით წყალმომარაგების ორგანიზაციის, საკვები ბაზის განმტკიცების, ფარეხების მშენებლობის, შრომატევადი პროცესების მექანიზაციის საქმეში.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის მინისტრის მოადგილე ამხ. სპორიშევი და ტაჯიკეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. აბდულაევი.

მოხსენებათა განხილვა დამთავრდა. კამათში თათბირის პლენარულ სხდომებზე და სექციების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 248 კაცმა.

მეცხვარეობის შესახებ სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა ყველა მწყემსის, მეცხვარეობის ფერმის გამგის, სპეციალისტისა და მეცნიერი მუშაკის, მექანიზატორის, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, მტს-ების, მეცხოველეობის სამანქანო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისადმი, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხვარეობის დარგის ყველა მუშაკისადმი.

თავმჯდომარე — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლობანოვი თათბირს დახურულად აცხადებს. (საკდესი).

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲗᲕᲘᲣᲠᲘ

ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲮᲚᲗᲐᲜ

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ მოედანთან თბილისის № 6 წიგნის მაღაზიის გამყიდველები მოუთმენლად მოელოდნენ მწერლების მოსვლას. მაღაზია სახეიმოდ გამოიყურება, ვიტრინები ლამაზად არის გაფორმებული, წიგნის თაროებზე თვალსაჩინო ადგილს აწყვია ქართველ მწერალთა ნაწარმოებნი.

აი კიდევაც მოვიდნენ ქართველი პოეტები გიორგი ლეონიძე და ალექსანდრე გომიაშვილი. ისინი დახლთან დგებიან. მაღაზია მალე ივსება ხალხით.

მაღაზიის გამგე ა. დიანოზაშვილი მიმართავს მომსვლელებს:

— ამხანაგო მკითხველებო, დღეს პირველი შემთხვევაა, რომ დახლთან დადგნენ ქართველი მწერლები, რომლებიც უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას წიგნების გავრცელებაში. ჩვენთან მოვიდნენ ქართველი პოეტები გიორგი ლეონიძე და ალექსანდრე გომიაშვილი. დაე ეს ტრადიცია ფართოდ დამკვიდრდეს!

— ამას წინათ, — ამბობს გიორგი ლეონიძე, — გამოვიდა ჩემი ლექსების „ერთტომეული“. გარდა ამ წიგნისა, რამდენია ჩვენივე თანამოკალმეების, ჩვენი ქართველი მწერლების სხვა ნაწარმოებნი! შეიძინეთ ეს წიგნები, მდიდარ სულიერ საზრდოს იპოვნით მათში!

სანამ ვაჭრობა გაჩაღდებოდა, მკითხველებმა სთხოვეს გიორგი ლეონიძეს წაეკითხა თავისი რომელიმე ნაწარმოები. პოეტმა ეს თხოვნა ხალისით შეასრულა, წაიკითხა ნაწყვეტი პოემიდან „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა“, აგრეთვე ვაჟა-ფშაველას ლექსი „არწივი“.

გ. ლეონიძის შემდეგ მკითხველთა თხოვნით ლექსებს კითხულობს ა. გომიაშვილი.

მაღაზიას ხალხი თანდათან ემატება, ისინი სპეციალურად არავის მოუწვევია, არც პოეტებთან შეხვედრის პროგრამა შეუდგენიათ, მაგრამ ყველაფერი ლამაზად, კარგად მოეწყო. მკითხველებმა თავიანთი აზრები გაუზიარეს პოეტებს. თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ლ. გოცირიძემ და № 6 მაღაზიის ქართული წიგნების სექციის გამგემ ა. დვალმა თავიანთი საკუთარი ლექსები წაიკითხეს, ხოლო სტუდენტმა ჯულიეტა ხუროშვილმა — ნაწყვეტი გ. ლეონიძის ეპოპეიდან „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა“.

შემდეგ გაჩაღდა წიგნით ვაჭრობა. მწერლების ნაწარმოებნი შეიძინეს 71-ე საშუალო სკოლის მასწავლებელმა გ. ქერქაძემ, საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ბ. ჯანაშვილმა, ნორჩმა მკითხველებმა ნ. ტაბიძემ, ჯ. არაქელოვმა, ნ. მაისურაძემ, ლ. მამაცაშვილმა, აგრეთვე რაიონებიდან ჩამოსულებმა — ხაშურელმა ინჟინერმა პ. დათებაშვილმა, დუშელმა მ. გულიამშვილმა და მრავალმა სხვამ. მათი თხოვნით ქართველმა პოეტებმა წიგნების თავფურცელზე დატოვეს ავტოგრაფები. აი ზოგიერთი წარწერა: „ქართული წიგნის ტრფიალს“, „პატარა ავთანდილს — ეს წიგნი მოხმარდეს სიკეთით“, „უცნობ მეგობარს — წიგნის ერთთვიურის აღსანიშნავად“.

წიგნით ვაჭრობა გაცხოველებით მიმდინარეობს. დახლთან არიან ქართველი პოეტები... გახსენდებათ, თუ როგორ ყიდდა წიგნებს ჩვენი ეპოქის უნაკლოდ ინტერესო პოეტი ვ. მაიაკოვსკი, რომელიც პოეზიაში თავის უფლებებს იცავდა. როგორც ცნობილია, მრავალი წლის წინათ ვ. მაიაკოვსკის ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. აი პოეტი მთელი ხმით კითხულობს თავის ლექსებს და შემდეგ ეკითხება მსმენელებს: „ვისაც მოგწონთ და ვისთვისაც გასაგებია ჩემი ლექსები, ასწიეთ ხელი“. და უცვე ხელების ტყეა აღმართული.

— რატომ აწყვია თქვენი წიგნები მაღაზიის თაროებზე?—შეეკითხნენ მაიაკოვსკის მისი ლიტერატურული მოწინააღმდეგენი.

— იმიტომ, რომ გამყიდველებმა არიკან ვაჭრობა.

მეორე დღეს მაიაკოვსკიმ, რომელიც დახლთან იდგა, ყველა თავისი წიგნი გაყიდა.

კარგია, რომ დიდი რუსი პოეტის ეს შესანიშნავი ტრადიცია ინერგება ჩვენშიც, საქართველოში...

წიგნის მაღაზია № 2, პლეხანოვის პროსპექტზე. აქ სტუმრად იყვნენ პოეტები გრიგოლ აბაშიძე და იოსებ ნონაშვილი. აქაც გაცხოველებით წარმოებდა წიგნის გაყიდვა. სამი საათის განმავლობაში 4.000 მანეთის ლიტერატურა გაიყიდა, მათ შორის დ. გურამიშვილის „დავითიანის“ აკადემიური გამოცემა, ა. ყაზბეგის II ტომი, მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ მეორე წიგნი, კ. დევდარიანის „გულო“, კრებული „სომხეთის დილა“ და სხვა წიგნები. მკითხველთა თხოვნით გრიგოლ აბაშიძემ წაიკითხა დიდი ბულგარელი პოეტის ივანე ვაზოვის ლექსის „სამშობლოსადმი“ საკუთარი თარგმანი, ხოლო იოსებ ნონაშვილმა — ლექსები ციკლიდან „ყაზახეთის ველებზე“.

თბილისის სხვადასხვა მაღაზიებში დახლთან იდგნენ მწერლები ი. გრიშაშვილი, ა. ბელიაშვილი, ხ. ბერულავა, რ. მარგიანი, ს. ავჩიანი, ნ. ჩაჩავა და სხვ.

მწერლების უშუალოდ დახლთან დგომა დიდი საგაზეთაციო-საგანმანათლებლო საქმეა. მწერლების საუბარს მკითხველებთან დიდი სარგებლობა მოაქვს. ტრადიციული გავხადოთ ეს საქმე საბჭოთა ლიტერატურის სასიხარულოდ!

ს. ᲐᲠᲚᲣᲬᲔᲚᲘ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). ამას წინათ აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა მწერალ კ. გოგიავას მოთხრობებისა და პიესების კრებული. კრებული ჩასმულია მაგარ ყდაში, შეიცავს 260 გვერდს და ღირს 5 მანეთი.

გამოიცა აგრეთვე შ. ღლონტის „ნარკვევები ქართველი მწერლების მხატვრული ენის საკითხებზე“. წიგნი შეიცავს 112 გვერდს, ღირს 3 მან. და 80 კაპ.

ᲒᲔᲯᲘᲗᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲒᲘᲡ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ



ახმეტის რაიონის ხასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის პავილიონი. ფოტო მ. თელიაშვილისა.

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ

ახმეტის რაიონის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს თავიანთი წვლილი შეეტანთ საზოგადოებრივი მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში, მათი წარმატებანი ნაჩვენები იყო რაიონულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ქისტაურის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პავილიონში გამოფენილი ექსპონატები პირველ რიგში მევენახეთა წარმატებებზე მეტყველებდნენ. წელს ქისტაურელებმა ხაშუალოდ თვითეულ ჰექტარ ვენახზე 115 ცენტნერი საუკეთესო ხარისხის ყურძენი მოიყვანეს. ხაკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2.200 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს 3.140 ცენტნერი ყურძენი ჩაბარეს.

პავილიონში ვრცლად იყო მოთხრობილი ქისტაურელ მეაბრეშუმეთა გამოცდილების შესახებ. კოლმეურნე მეაბრეშუმეებმა წელს 66 კოლოფი აბრეშუმის ჭია გამოკვებეს. თვითეულ კოლოფზე სახელმწიფოსათვის 52 კილოგრამი პარკი შინაბარებინათ, ფაქტიურად 104 კილოგრამი ჩაბარეს. სტალინური პრემიის ლაურეატის ოსანა აიგაზაშვილის რგოლმა გეგმის გადამეტებით 701 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მოიყვანა. ასევე ისახელა თავი რგოლმა, რომელსაც ნუშო დურგლიშვილი ხელმძღვანეელობს.

ახმეტის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის პავილიონსმა მრავალი მნახველი მიიზიდა. ყურძნის მოსავლიანობის ზრდის დიაგრამა მნახველებს აუწყებდა, რომ წელს ახმეტელებმა შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაადიდეს ყურძნის მოსავლიანობა.

ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას წელს სიმინდი მთლიანად კვდრატულ-ბუდობრივად ეთესა. ნათესები სანიმუშოდ დაამუშავეს. ამის შედეგად საშუალოდ ჰექტარზე 38 ცენტნერი სიმინდი მიიღეს (მარცვლად) ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 23 ცენტნერისა. ფ. ბაშინურიძის ბრიგადამ საშუალოდ ჰექტარზე 46 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. კოლმეურნეობის პავილიონში მოთხრობილი იყო სიმინდის უხვი მოსავლის ოხტატთა მუშაობის გამოცდილებაზე.

ახმეტის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ პავილიონში ცალკე სტენდი ჰქონდა დათმობილი ნაწყვრალაზე დათესილი სიმინდის მოყვანის გამოცდილებას. კოლმეურნეობამ 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე ოცი ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. მიღებულია დიდძალი სახილოსე მასა.

ზემო ალვანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის პავილიონის სტენდებმა ცხადყვეს, რომ ამ კოლმეურნეობას მეცხვარეობის მხრივ რაიონში პირველი ადგილი უკავია. კარგი მოვლის შედეგად რძისა და მატყლის მიღების გეგმა გადამეტებით არის შესრულებული.

Ლ. ᲫᲣᲬᲚᲐᲫᲔ,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲚᲗᲐ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. (საკ. კორ.). აქ მოეწყო სასოფლო-სამეურნეო რაიონული გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 15 კოლმეურნეობამ, 4 სამეცნიერო-საცდელმა სადგურმა, 12 სასკოლო მეურნეობამ და სახელმწიფო ორგანიზაციამ, 250-ზე მეტმა სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანმა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 16 ნიმუშის საკვები და 19 ნიმუშის სუფრის ჭარხალი, აგრეთვე ექსპონირებული იყო ყურძენი, კარაქი, ლობიო, ვაშლი და სხვ.

დიდი ინტერესი გამოიწვია დაბა ვალეს მაბარაძის სახელობის კოლმეურნეობის 21-კილოგრამიანმა საკვებმა ჭარხალმა და ხორბლის 14 ნიმუშმა. წყალთბილას კოლმეურნეობა „წითელმა მესაზღვრემ“, რომელმაც წელს კარტოფილისა და ბოსტნეულის უხვი მოსავალი მიიღო, გამოფენაზე წარმოადგინა 1.500-1.600 გრამი წონის „მაეესტიკის“ ჯიშის კარტოფილი და 16-კილოგრამიანი კომბოსტო.

ყურადღებას იპყრობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მიერ წარმოდგენილი 700-800 გრამიანი ხახვი, 21 კილოგრამი წონის კომბოსტო და ამავე სკოლის მცდელი-მიჩურინელის ბ. ამირანაშვილის მიერ გამოგონებული თუთისა და ხეხილის კალმების დასაფესვიანებელი ელექტროაპარატი.

სოფელ კლდის რვაწლიანი სკოლის ნორჩმა ნატურალისტებმა, რომლებიც სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი არიან, გამოფენაზე წარმოადგინეს მრავალფეროვანი ექსპონატები: ჰიბრიდული სიმინდი, იაპონური ბადრიჯანი, დეკორაციული ყვავილები და სხვ.

გამოფენა ინახულა 7.000-ზე მეტმა მშრომელმა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ

(Ი. Ა. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ 15 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.)

15 წლის წინათ მსმენელთა ფართო საზოგადოებისა და თავისი მოწაფეების თანადასწრებით სამეცნიერო მოხსენების კითხვის დროს მოულოდნელად შეწყდა ივანე ჯავახიშვილის სიცოცხლე. გარდაიცვალა ერის წინაშე ვალმოხდილი ადამიანი, რომელმაც ორმოცი წლის მანძილზე, სტუდენტობის ხანიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე თავისი ძლიერი ნებისყოფა, უშრეტი ენერგია, მაღალი ნიჭი და სიყვარული ქართველი ხალხის სამსახურს შეალია, მისი ისტორიის შესწავლასა და მის კულტურულ აღმავლობას მოახმარა. ივანე ჯავახიშვილმა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობით ახალი საფეხური შექმნა ქართულ ისტორიულ აზროვნებაში, მან ახალი კრიტიკულ-ანალიტიკური მიმართულება დაფუძნა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

თავისი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე ივანე ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ისტორიკოსის უპირველესი მოვალეობაა წყაროების კრიტიკულად შესწავლა, ფაქტების ზუსტად დადგენა და სწორად ამოკითხვა. ამავე დროს ივ. ჯავახიშვილი წერდა, რომ საქართველოს წარსულის ცოდნა მისაბაძავად კი არ არის საჭირო ან თვითცნობიერების გრძნობის დასაკმაყოფილებლად, არამედ ისტორიკოსს არ უნდა დაავიწყდეს, რომ რა დიდი ღვაწლიც უნდა მიუძღოდეს ეროვნებას წარსულში, თუ იგი აწყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის. თუ წარსულში რაიმე ნაკლი გვქონდა, ამას დამალვა კი არა, გამომეღავნება უნდა. მხოლოდ იმას, ვინც თავის ნაკლს შეიგნებს, შეუძლია იგი გამოსწოროს, მხოლოდ კრიტიკულ ბრძოლაში გატარებული ისტორიული წყაროები შეიძლება გახდეს პირუთვნელი ისტორიის შემუშავების საფუძველი.

კიდევ მეტი. ივანე ჯავახიშვილი ამობდა, რომ ხალხის ისტორიაში მარტოოდენ პოლიტიკური მოვლენები კი არ უნდა იყოს ასახული, არამედ ხალხის ყოფაცხოვრებისა და შემოქმედების ყველა მხარე. ასეთი ისტორიისათვის გამოყენებულ უნდა იქნას ყველა წყარო.

შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ეს ამოცანა ივ. ჯავახიშვილმა ბრწყინვალედ შეასრულა, მან არაერთი საისტორიო წყაროკრიტიკის ქარაცეცხლში გაატარა, ყოველმხრივ გამოიკვლია, ნაყალბევი და ტენდენციური უკუაგდო და ჭეშმარიტი და უტყუარი დაადასტურა. საკმარისია ამ მხრივ თვალი გადავაგლოთ ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო შრომებს, რომ ადვილად დავრწმუნდეთ ნათქვამის სინამდვილეში. ამ წყვეის მეცნიერულ შრომებს ეკუთვნიან: საისტორიო მწერლობა, ქართული სიგელთმცოდნეობა, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, ქართული საფას-საზომმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ქართული საბუთთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. ამ მხრივ სავსებით გასაგებია, რომ ივ. ჯავახიშვილმა უმალვე, როგორც კი ის აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, დაწერა მოხსენება — მორიგი საჭიროებანი და უახლოესი ამოცანები შუა საუკუნეების მცხლობელი აღმოსავლეთის ისტორიოგრაფიისა —, სადაც აღნიშნავდა, რომ საჭიროა უწინარეს ყოვლისა დაიბეჭდოს სპარსულენაენი საისტორიო საბუთები, რომლებიც საქართველოსა და კავკასიის ისტორიის დასამუშავებლად დიდადმნიშვნელოვანი არიან, და ეს საქმე უნდა დაეკისროს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სათანადო ინსტიტუტებს.

საოცარი იყო ივ. ჯავახიშვილის მუშაობის მასშტაბი. მისი ერუდიციის დიაპაზონი და ინტერესი საქართველოს ისტორიის ყველა დარგსა და მხარეს სწვდებოდა.

ივანე ჯავახიშვილმა დაამუშავა ქართველი ხალხის ისტორიის უამრავი საკითხი, კერძოდ ქართველი ხალხის ეთნოგენეზისის, ეკონომიკის, სამართლის, მატერიალური კულტურის, სოციალური მოძრაობის, აზროვნების და სხვა პრობლემები.

ასეთი მუშაობით ივანე ჯავახიშვილმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ისტორიულ მეცნიერებათა მთელ რიგ დარგებს, რომლებიც ამჟამად წარმატებით ემსახურებიან საბჭოთა მეცნიერების წინაშე დასახულ ამოცანებს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ივანე ჯავახიშვილის შეხედულება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციის ამოცანებზე. ეს შეხედულება სცილდებოდა ჩვეულებრივ ტრაფარეტს. მისი აზრით საქართველოს მუზეუმი უნდა გადაქცეულიყო ისეთ დაწესებულებად, სადაც საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურის ისტორია იქნებოდა ასახული. ამ ამოცანის განხორციელება მას სავსებით ორიგინალურ ფორმებში ჰქონდა წარმოდგენილი. არაერთხელ უთქვამს მეცნიერს, რომ კულტურის ისტორიის ექსპოზიცია საქართველოს მუზეუმმა უნდა განახორციელოს არა ისე, როგორც ამას ჩვეულებრივად ბევრ მუზეუმში აკეთებენ ხოლმე, არამედ თავისებურად. აქ ასახული უნდა იყოს შრომისა და კულტურის ისტორია შერწყმით, და როდესაც საქართველოს მუზეუმის მთავარ გამოფენაში ეს ასე განხორციელდება, მაშინ გამოჩნდება თუ რამდენად მდიდარი და თვალწარმტაცია საქართველოს კულტურის ისტორიაო.

განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. იგი წარმატებით ათავსებდა სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას პრაქტიკულ საზოგადოებრივ საქმიანობასთან. მისი ღვაწლი განსაკუთრებით დიდია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებასა და დაფეძკაცებაში. ივ. ჯავახიშვილი წლების განმავლობაში სათავეში ედგა ამ უნივერსიტეტს. მისი რექტორობის დროს უნივერსიტეტში ჩაისახა მთელი რიგი სამეცნიერო დარგები, რომლებიც შემდგომში ცალკე ინსტიტუტების სახით ჩამოყალიბდა და რომელთა ბაზაზე შესაძლებელი გახდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსება.

ივანე ჯავახიშვილი შესანიშნავი პედაგოგი იყო. მან აღზარდა ქართველ საბჭოთა მეცნიერთა მთელი თაობა, რომელიც ამჟამად წარმატებით ემსახურება ქართულ საბჭოთა მეცნიერებას სხვადასხვა დარგში.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა ივანე ჯავახიშვილის ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა და დაჯილდოვა იგი ორდენებითა და მედლებით.

ქართველმა ხალხმა ივანე ჯავახიშვილი აირჩია თავის დეპუტატად საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში. ივანე ჯავახიშვილი დაუცხრომელი ენერგიით მოღვაწეობდა როგორც ხალხის მსახური.

Გ. ᲩᲘᲢᲐᲘᲐ,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის *წევრი-კორესპონდენტი.

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ

დღეს, 2 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი აწყობს სამეცნიერო სესიას, მიძღვნილს აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების მე-15 წლისთავისადმი.

სესიაზე მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებები: „ივ. ჯავახიშვილის როლი ადრე ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის შესწავლის დარგში“ (მომხსენებელი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. ლორთქიფანიძე), „ივ. ჯავახიშვილი და XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი“ (მომხსენებელი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ბ. რატიანი), „ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს ეთნოგრაფია“ (მომხსენებელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი გ. ჩიტაია), „ივ. ჯავახიშვილი და არმენოლოგია“ (მომხსენებელი სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ლ. მელიქსეთ-ბეგი).

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

Გ. ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲘᲡ ᲔᲠᲗᲗᲝᲛᲔᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

სოციალისტური რეალიზმის მეთოდი სრულ შესაძლებლობას იძლევა სრულიად განსხვავებული სტილისა და შემოქმედებითი ინდივიდუალობის მქონე ტალანტების გაშლა-გაფურჩქვნისათვის. ეს რომ ასე არ იყოს, ჩვენს პოეზიაში გაბატონდებოდა „ერთფეროვანი პეიზაჟი“ და არ გვეყოლებოდა ორიგინალური ხმის პოეტები. მაიაკოვსკის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ჩვენ გვჭირდება „ბევრი“ და „ნაირნაირი“ პოეტები, რომლებსაც აქვთ არა მარტო საკუთარი თემები, არამედ მკაფიოდ გამორჩეული საღებავები, ინტონაცია, ხმა. როდესაც გიორგი ლეონიძე წერს:

„არ მინდა ჩანგი მე ხელნაჭერი,
ნარტყამი ხმალი საკაძისა...
ვარსკვლავი სხვისი შარავანდითა,
სხვის იალქანი ათრთოლებულ!
მე მიპოვნია ჩემი სიმღერა,
ჩემი სიტყვები გამაპობელი, —
სიტყვა ამტყდარი წვიმასავითა,
ცისარტყელებით ვარაყფრქვეული“,

ამით კარგად გამოხატავს თავის შემოქმედების იდეალს. ვინც გ. ლეონიძის პოეზიას ჩაუკვირდება, უთუოდ შეამჩნევს, რომ პოეტი სრულებითაც არ ცდილობს თავი ორიგინალურად მოგაჩვენოს. მისი ლექსი ღრმა შინაარსიანია და ავტორის პიროვნული თავისებურებებიდან მომდინარეობს.

გ. ლეონიძის პოეზიაში აუცილებლად იგრძნობა სამხრეთული მზის მხურვალება, ჩვენი მთებისა და წყალვარდნილების სტიქიური სილამაზე. ნუ ეძებთ მის ლექსებში გულგრილად დახატულ პეიზაჟებს, მინორული განწყობილების აღმძვრელ სტრიქონებს. მისი ფრაზა ყოველთვის დატენილია ვაჟკაცური გრძნობებიანცეცხლით; მან არ იცის, რა არის ნახევრად აღფრთოვანება თუ აღშფოთება, ნახევრად სიყვარული თუ სიძულვილი. მისი ლექსები გრგვინავენ, ჭექა-ქუხილის ძალუმ ხმებს გამოსცემენ, მთიდან დაძრული ნიაღვრის ზათქით მოედინებიან.

პოემის მთელ მანძილზე ავტორი აღტაცების ჰიმნს უგალობს გორის მიწა-წყალს, მის აყვავებულ ბაღ-ვენახებს, ციცინათელების შუქით განათებულ ღამეებს და მზის გვირგვინით გაბრწყინებულ დილებს, ხერხემალგადატეხილი ციხის კალთებს და გორიჯვრის ამწვანებულ გორაკებს.

„ბავშვობა და ყრმობის“ პროლოგში არაჩვეულებრივი ძალით ნაჩვენებია გორის სილამაზე, მისი მიწისა და ჰაერის სიტკბო, სურნელება. პოეტმა უზადო ოსტატობას მიაღწია „ქართლის ბალში“, სადაც თვალს იტაცებს ბუნების უმანკო მშვენიერება, მისი გასაოცარი სილამაზე... მინანქარით შეფრქვეული ვარდის ბალი, იაგუნდის წვიმა, მთებსა და ველებზე მოთამაშე გაზაფხულის მზვანე თვალი, ხის ტოტებიდან ქალივით მომზირალი ვაშლი, თეთრ ჩოხაში საქორწილოდ გამოწყობილ სიძესავით ტანატყორცნილი აღვისხე, თონის ნაკვერჩხალივით აგიზგიზებული ბროწეულის ყვავილები, ვეფხვის ჭრელი პერანგივით გადაშლილი ქართლის ველი, მარწყვისფერად, შინდისფერად შეღებილი გარიყრაკი და ა. შ. — აი როგორი პლასტიკური, დინამიური სახეებით გადმოგვცემს პოეტი ბელადის მშობელი მიწის წარმტაც მშვენებას...

პოემის შემდეგ ნაწილებში მაღალმხატვრული ოსტატობით აღწერილია ბელადის დაბადება და ბავშვობა. დეტალების სიზუსტე, მათი რეალისტური გაგრძელება შესაფერის ფონს ქმნის თემის ძირითადი იდეის ოსტატურად გადაჭრისათვის. აქ ცხოვრების მართალი, უტყუარი სურათები გაცოცხლებულია ჭეშმარიტი მხატვრული სუნთქვით, რაც პოემის კითხვის დროს ესთეტიკურ სიამოვნებას გაგრძნობინებთ.

გ. ლეონიძის შემოქმედების საუკეთესო თვისებები მთელი ძალით იჩენს თავს აგრეთვე პოემებში „ბერმოულასა“ და „ფორთოხალაში“.

„ბერმოულა“ მიეკუთვნება იმ ციკლის ნაწარმოებთ, სადაც მძაფრი და შთამბეჭდავი სახეებით არის გადმოცემული ბელადისა და ხალხის, მათი სისხლხორცეული ერთიანობის, მონოლითობის თემა. მასში უაღრესად მკაფიოდ არის დახატული სახე ჭირშოულას“ სტრიქონები გაღელვებს კითხვის დროს და შემდეგაც განაგრძობს შენს სულიერ ცხოვრებაზე ხანგრძლივ ზემოქმედებას.

„ფორთოხალა“ გ. ლეონიძის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. აქაც ყურადღების ცენტრშია დაყენებული ხალხის წიაღიდან გამოსული უბრალო ადამიანი — გლეხის ქალი ფორთოხალა, რომლის შესახებ დუმს მატიანე. პოეტმა საუკუნეთა ბინდბუნდიდან გამოიხმო ეს ქართველი დედა, ხელისგულზე გადაგვიშალა მისი ცხოვრება და გვიჩვენა, თუ რა განუზომლად მაღლა დგას იგი წარსულის ყველა გვირგვინოსან დედოფალსა და ბედისაგან განებივრებულ ბანოვანზე.

ფორთოხალა ქართველი დედის განზოგადებული ტიპია, დედისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე მამულისათვის ზრდიდა მედგარ მეომრებს, სახნისისა და საჭრეთლის უებრო ოსტატებს, აზრისა და გრძნობის ფალავნებს, ნამუსისა და პატიოსნების რაინდებს.

„ფორთოხალა“ თავისი იდეურ-მხატვრული ღირსებებით თამამად შედის დედის შესახებ დაწერილ შესანიშნავ ნაწარმოებთა პირველ წყებაში, რაც სიტყვის დიდ ოსტატებს შეუქმნიათ საუკუნეების მანძილზე.

გ. ლეონიძის პოეზია, როგორც ზევით ვთქვით, ნოვატორული მოვლენაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასში არ დავინახოთ ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციის კვალი. ეს მისი უეჭველი ღირსებაა.

გ. ლეონიძის შემოქმედების რეზონანსი დიდი ხანია გასცილდა საქართველოს ფარგლებს, რაც სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს. მილიონობით არაქართველ მკითხველს საშუალება ეძლევა გაეცნოს ამ ნიჭიერი პოეტის ცეცხლოვან, მგზნებარე შემოქმედებას, გაიგოს და უფრო შეიყვაროს საქართველო თავისი დიდი კულტურული ტრადიციებით.

Ვ. ᲑᲐᲘᲐᲫᲔ.

ინდოეთის პრესა ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის დელში ყოფნის შესახებ

დელი, 20 ნოემბერი. (საკდესი). ინდოეთის გაზეთები კვლავ მთავარ ყურადღებას აქცევენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნას დელში.

„500 ათასი მოქალაქე მიესალმება საბჭოთა ხელმძღვანელებს. ყველაზე სამახსოვრო საზოგადოებრივი მიღება დელში. „პანჩა-შილას“ მოწონება. ბულგანინი წინასწარ ჰვრეტს უფრო ფართო თანამშრომლობას“ — ასეთი სათაურით ბეჭდავს გაზეთი „სტეიტსმენი“ დელის მოქალაქეთა 19 ნოემბრის მასობრივი მიტინგის ანგარიშს.

გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია“ ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის დელში ყოფნის შესახებ ბეჭდავს სტატიას დიდი სათაურით: „რუსეთი და ინდოეთი მოკავშირენი არიან მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეში — ამბობს ბულგანინი“, ხოლო გაზეთი „ჰინდუსტან სტანდარდი“ ბეჭდავს სტატიებს სათაურებით: „რუსეთი მზად არის დაეხმაროს ინდოეთს მშენებლობაში. დადგა სავაჭრო ურთიერთობის დრო — ამბობს ბულგანინი. აღტაცებული საზოგადოებრივი მიღება რამლილას მოედანზე“.

„საფუძველი ჩაეყარა ეკონომიურ თანამშრომლობას ინდოეთთან — ამბობს ბულგანინი. მილიონობით ადამიანი ესწრება საზოგადოებრივ მიღებას“ — აცხადებენ გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსის“ სტატიების სათაურები.

ყველა გაზეთი ბეჭდავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ნერუს სიტყვებს დელის მიტინგზე. პრესა განუწყვეტლივ ხაზგასმით აღნიშნავს იმ განსაკუთრებულ მეგობრულ მიღებას, რომელსაც დელის მოსახლეობა უწევს საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ ძვირფას სტუმრებს.

გაზეთი „სანდი სტანდარდი“ მოწინავე სტატიაში სათაურით: „ჩვენი სტუმრები“ აღნიშნავს, რომ ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს ინდოეთში დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ორი ქვეყნის მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

„ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, — აცხადებს გაზეთი, — არის არა მარტო ხელმძღვანელების მეგობრობა, ეს არის ხალხთა მეგობრობა. მიესალმებიან რა ჩვენს უაღრესად საპატიო სტუმრებს, ინდოელები მიესალმებიან დიადი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხებს“.

„დაგუნბაო“ ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის აღმოსავლეთის ქვეყნებში გამგზავრების შესახებ

პეკინი, 19 ნოემბერი. (საკდესი). დღეს გაზეთი „დაგუნბაო“ მოწინავე სტატიაში, რომელიც ეძღვნება ინდოეთში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის გამგზავრებას, წერს, რომ ეს გამგზავრება ღირსშესანიშნავი მოვლენაა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრობის განვითარებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის.

საბჭოთა ხალხი, აღნიშნავს გაზეთი, მუდამ ერთგული მეგობარი იყო აღმოსავლეთის ხალხებისა მათს ბრძოლაში მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვისათვის. ამიტომ აღმოსავლეთის ხალხები მხურვალედ მიესალმებიან ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ჩასვლას ინდოეთში და მათს გამგზავრებას აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, რამაც ხელი უნდა შეუწყოს აღმოსავლეთის ხალხებთან საბჭოთა ხალხის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

ჩინელი ხალხი, წერს „დაგუნბაო“, გამსჭვალულია ძმური მეგობრობის გრძნობით საბჭოთა და ინდოელი ხალხებისადმი და ახლა, როცა დელის მცხოვრებნი უდიდესი ენთუზიაზმით ხვდებიან ძვირფას სტუმრებს — სსრ კავშირის სახელმწიფო მოღვაწეებს, — პეკინის მცხოვრებნი სავსებით იზიარებენ მათს სიხარულს.

ინდოეთში ჩავიდა საბჭოთა გეოლოგების ჯგუფი

დელი, 19 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჰინდუსტან სტანდარდი“ იუწყება, გუშინ დელში ჩამოვიდა ჯგუფი საბჭოთა სპეციალისტებისა, რომლებიც კონსულტაციას გაუწევენ ინდოეთის მთავრობას ინდოეთის ნავთობის რესურსების ძიების საკითხებში.

მოსკოვში ჩამოვიდა ავსტრიის საპარლამენტო დელეგაცია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით 20 ნოემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ავსტრიის პარლამენტის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ფედერალური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრიში. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ეროვნული კრების დეპუტატები ე. ობერგერი, კ. ჩერნეცი, ე. ფიშერი, ფ. ფლოსმანი, ი. გრისსერი, ა. მალეტა, რ. მარხნერი, ფ. პრინკე, ო. პრობსტი, ვ. რაიმანი, რ. როტი, რ. შაიხი, ფ. შტრობლი, ფედერალური საბჭოს დეპუტატები ა. დუშეკი, ფ. ეკერტი, ი. პფაილერი, აგრეთვე პარლამენტის დირექტორი რ. როზიჩკი, რომელიც თან ახლავს დელეგაციას.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ავსტრიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, სტუმრებს შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ი. პ. ვოლკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. ტ. კომაროვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ი. თ. გორკინი, სსრ კავშირის მინისტრები: ვ. ბ. ელიუტინი, ე. ს. ნოვიოსელოვი, ნ. ი. სტროკინი, გ. ს. ხლამოვი, ზ. ა. შაშკოვი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები: ვ. ა. ზორინი, ი. თ. სემიჩასტნოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: ს. ჯუმაევი, ტ. მ. ზუევა, ი. ე. პეტრუშევი, ი. ს. იაკოვლევი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: ი. ნ. ზიმინი, ლ. ნ. სოლოვეოვი, პ. მ. ტრუხინი, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ს. მ. ბუტუსოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსი ნ. კ. კოზლოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსი გ. ი. ფომინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მესამე განყოფილების გამგე ს. გ. ლაპინი. მოსკოვის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი, ჟურნალისტები.

ავსტრიის საპარლამენტო დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე ავსტრიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ნ. ბიშოფი და საელჩოს თანამშრომლები.

...19 საათსა. თვითმფრინავი ძირს ეშვება. აეროდრომზე შეკრებილნი გულთბილად მიესალმებიან დელეგაციას. მოსკოველმა პიონერებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს სტუმრებს.

ავსტრიის პარლამენტის დეპუტატებს მოკლე სიტყვით მიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. ვოლკოვმა. იგი ამბობს:

ბატონო თავმჯდომარეო!

ბატონო დეპუტატებო!

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს სახელით ნებას მივცემ ჩემს თავს მოგესალმოთ საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში ჩამოსულთან დაკავშირებით.

მოხარული ვართ თქვენი სახით ვნახოთ წარმომადგენლები ავსტრიელი ხალხისა, რომელმაც მოიპოვა თავისი სრული თავისუფლება და დამოუკიდებლობა სახელმწიფო ხელშეკრულების დადების შედეგად.

საბჭოთა კავშირში თქვენი ჩამოსვლა უეჭველად შეუწყობს ხელს იმ გულწრფელი მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას, რაც ჩვენი ქვეყნების ხალხთა შორის დამყარდა.

საბჭოთა მოქალაქეების ცხოვრებისა და მშვიდობიანი შრომის გაცნობა შესაძლებლობას მოგცემთ დარწმუნდეთ, რომ მათ მხურვალედ სურთ იცხოვრონ მეგობრობით და მშვიდობით როგორც ავსტრიელ ხალხთან, ისე ყველა დიდ და პატარა ხალხთან.

ძეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო სტუმრებო!

სიტყვა წარმოთქვა ავსტრიის პარლამენტის დელეგაციის მეთაურმა ა. ფრიშმა. ნინ თქვა:

ბ-ნო თავმჯდომარეო, ჩემი ძვირფასო მეგობრებო!

ძლიერ გაგვახარა საბჭოთა მთავრობის მოწვევამ ჩამოვსულიყავით საბჭოთა კავშირში. განსაკუთრებით მოხარული ვიყავით, როცა შევიტყეთ ამ მოწვევის მიტიკებები. გათელილნინებული იყო, რომ უნდა განვითარდეს ავსტრიელი და რუსი ხალხების მეგობრული ურთიერთობა. სამწუხაროდ, ისტორიამ იცოდა ისეთი მომენტები, როცა ჩვენ მეგობრულ ურთიერთობაში არ ვიყავით. ისტორიაში ასე ხდება ხოლმე. მაგრამ ისტორიაში პროგრესად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ ის მომენტი, როცა შეეძლები აღმოვფხვრათ ყველა ის დაბრკოლება, რომლებიც ხელს უშლიან ბედნიერი მშვიდობის დამყარებას. ეს მოწვევა და ჩვენი აქ ჩამოსვლა მიგვაჩნია ისეთ მუშაობად, რომელიც იმის წინასწარი საფეხური იქნებოდა, რაზეც ჩვენ ყველანი ვოცნებობთ: მშვიდობა ჩვენს ხალხს, მშვიდობა თქვენს ხალხს და რომ ორივე ხალხი მშვიდობით და თანხმობით ცხოვრობდეს ერთმანეთს შორის.

როცა დღეს დილაადრიან ვენიდან გამოვფრინდით, საუცხო მზიანი ამინდი იყო. ჩვენი მგზავრობა დიდებული იყო. სამწუხაროდ, ღრუბლები ზოგჯერ გვიშლიდნენ შორს ცქერას. მაგრამ ჩვენ მით უფრო მზიარულად ვგრძნობდით თავს, როცა ღრუბლებზე ამოვდიოდით. ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო, და თქვენც, ხელისუფლების წარმომადგენლებო, რომ ჩვენ, ავსტრიელები, აგრეთვე ჩამოვედით აქ მეგობრული გრძნობებით, გულღიად. და ყოველივე იმას, რასაც აქ ვნახავთ, ჩვენს ხალხს გუამბობთ. (საკდესი).

იგაღიის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის წერილი სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებისადმი

რომი, 19 ნოემბერი. (საკდესი). დელეგაციებმა, რომლებიც შედგებოდნენ პარლამენტის წევრებისა და იტალიის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის კომიტეტის ხელმძღვანელთაგან, ინახულეს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საელჩოები რომში და გადასცეს წერილები, რომლებშიც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საჭიროა შემდგომი ბრძოლა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის და ნათქვამია, რომ იტალიელი მშვიდობის მომხრეები განაგრძობენ თავიანთ ღონისძიებებს ამ მიმართულებით.

საბჭოთა კავშირის საელჩოს მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის კომიტეტის პრეზიდიუმის წერილი გადასცა დელეგაციამ სოციალისტი დეპუტატების ფერარისა და ალბარელოს და მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის ფანტის შემადგენლობით, რომლებიც მიიღო სსრ კავშირის ელჩმა იტალიაში ა. ე. ბოგომოლოვმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია უნგრეთში

დიერი, 21 ნოემბერი. (საკდესი). უნგრეთში მყოფი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, განაგრძობს უნგრეთში მოგზაურობას. გუშინ დელეგაციამ დაათვალიერა ბაბოლნის (კომარომის ოლქი) სახელმწიფო მეურნეობა, სადაც გაეცნო მაღალპროდუქტიული მეწველი პირუტყვის, ღორისა და არაბული ჯიშის სანაშენე ცხენების მოშენებას. დელეგაცია იყო აგრეთვე სოფელ ვანის საწარმოო კოოპერატივში — „თავისუფალი მიწა“.

დელეგაციის წევრები ესტუმრნენ დოროგის ქვანახშირის აუზის მეშახტეებს, რომლებიც გულთბილად მიესალმნენ სტუმრებს და სთხოვეს უაღრესად გულწრფელი და მეგობრული სალამი გადასცენ საბჭოთა მეშახტეებს.

საღამოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ჩავიდა დიერ-შაპრონის ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრში — ქალაქ დიერში. დიერში დელეგაციის წევრებს მეგობრული საუბარი ჰქონდათ საქალაქო საბჭოსა და უნგრეთის მშრომელთა პარტიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელებთან, რომლებმაც მათ უამბეს სოციალისტური მშენებლობის წარმატებებზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციას უნგრეთში მოგზაურობისას ახლავან სახელმწიფო კრების თავმჯდომარე შანდორ რონაი, სახელმწიფო კრების თავმჯდომარის მოადგილე იო